№ 294 მთავარსარდლის ბრძანება ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეხუთე

საქართველოს რესპუბლიკა.

ფასი, დეკემბრის 25 1920 წ.

ოფიციალური და არა ოფიციალური განცხადებებისთვის

საგანგებო რედაქციული

განცხადების ფასი 1 კ. გვ. პირტის სტრიქ. 2 კ. ბოლო გვ. 15 მან. სამწლიანი განც. ჩვეულებრივი ზომის (15—4 500 მ., განც. საბუთების დაბეჭდვის შესახებ 260 მ. სასამართლო წყვ. განცხადება 120 მ. წინა ანაზ. დაბეჭდვა ღირს ნახევარ ფერა 20 %-ით. ქვეის და ანგარიშსწორება: ტფ., ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—93

მიღება ხელის მოწერა 1921 წ.

გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკა“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველ ელჩერეა 500 ეგზემპლარად, წლიურად 6.000 მან. ცალკე ნომერი 20 მან. განსაკუთრებული გაზეთის არავის გაყიდვა. გაზეთის ხელმოწერა არ დაიგვიანდება.

სახელმწიფო თეატრი.

ოპერა.

შაბათს, 25 დეკემბერს ოპერა მუშებისთვის

„ღალატი“

კვირას, 26 დეკემბერს „ტოსკა“, ორშაბათს, 27 დეკემბერს „ფრონტის დღე“, სამშაბათს, 28 დეკემბერს ბალეტის სალამო მორკინის „კარნავალი“.

დასაწყისი ს—ულ 8 საათზე საღამოს. 1041 1—1

კვირას, 26 დეკემბერს. საღამოს 8 საათზე

მცირე ჯარიან კლუბში

(პლეხანოვ. პრ. № 129).

შესვლა

სამთა ქუჩის მცირეწლოვანთა

მოხ. მუს ილიკო კურდღელის

სალს. მგოს. გიორგი კუჭიშვილის

მესტვირე გიგო გურდილაძის

მსატყვრულ-მუსიკალური ლექცია.

ოფიციალური განცხადება.

დეკრეტი

პატიმართა შესანახად დამატებით 40.000.000 მან. გადადებისა

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ბაზინდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისთვის დამატებით ორმოცი მილიონი (40.000.000) მან. პატიმართა შესანახად ამა 1920 წლ. ოქტომბრის 1-დან 1921 წლის ივნისის 1-დე.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. დეკემბრის 17-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დეკრეტი

სამთო-ხელმძღვანელო კურსებისა.

1) კურსები არსებობა რესპუბლიკის სამთო-მადნო სამმართველოსთან.

2) კურსებზე მიიღებიან უმაღლეს დაწყებით სკოლის სწავლა დამთავრებულნი ან გიმნაზიის 4 კლასის ცოდნისანი.

3) პროგრამა კურსებისა: სამთო კანონმდებლობა, სამთო საქმე, გეოდეზია და მარკშეიდერია, მინერალოგია, გეოლოგია და პეტროგრაფია, ქიმია და სასინჯო საქმე, აღმშენებლობა, ტექნოლოგია ლითონისა და ხის., სამთო საქარხნო მექანიკა, ელექტროტექნიკა, ჰიგიენა, დაშავებულთა უმალო შველა, და ტეხნიკური ბაზეი.

4) კურსებზე სწავლა იწყება ოქტომბრის 1 ს და სწარმოებს 1 წელიწადს. პირველი 3 თვის თეორეტიული მეც დინეობის შემდეგ 2 თვე სწარმოებს პრაქტიკული ვარჯიშობა გეოდეზიასა და მაღაროების საქმეში; შემდეგ 3 თვის თეორეტიული კურსია და ბოლოს სამი თვის პრაკტიკა გეოლოგიაში, მარკშეიდერიაში, და გამოცდა.

5) თეორეტიული კურსის და პრაქტიკული მუშაობის შემდეგ ენჟენიერ-ში კურსისტები ჩაბარებენ გამოცდას ყოველ საგანში; კურს დამთავრებულთ ეძლევათ მოწმობა.

6) პასუხისმგებელ ხელმძღვანელად და გამგედ კურსისა ითვლება სამთა მადნი სამმართველოს უფროსი, რომელიც მოიწვევს ლექტორებს და მასწავლებლებს და სხვა საჭირო პირებს, ყურს უგდებს თეორეტიულ მეცადინეობას, გაამაწიერებს პრაქტიკულ მუშაობას, აწარმოებს სამეურნეო საქმეს და წარუდგენს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს ანგარიშებს, როგორც საპედაგოგიო ნაწილისას, ისეც ყოველი ხარჯისას. გამგის მოადგილეს დანიშნავს ფინანსთა მინისტრი გამგის მიერ წარდგენით.

7) ლექტორებად კურსებზე შეუძლიათ იყვნენ უმაღლეს სპეციალ სწავლა დამთავრებულნი, უპირატესად სამთო ინჟენერნი.

8) გასარკვევად ყოველი საკითხისა, რომელიც ეხება კურსების სწავლის საქმეს, გამგე, მოიხმენენ ლექციებისა დაგვარად მოიწვევს საპედაგოგიო საბჭოს, რომელიც მისი თავმჯდომარეობით გადასწყვეტს საკითხებს.

საბჭოს დადგენილებანი სისრულეში მოჰყავს გამგეს.

9) სამეურნეო საკითხებს განაგებს სამეურნეო კომიტეტი, რომელშიაც შედიან გამგე (თავმჯდომარე) და ორი წევრი, პედაგოგიურ საბჭოს მიერ არჩეული.

10) კურს დამთავრებულთ მიეცემათ მოწმობა და უფლება პასუხსაგები სამთო-მადნო მუშაობის წარმოებისა და შტეიგერების თანამშრომლისა.

1920 წ. დეკემბრის 17-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის თავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ამაო ოფიციალური განცხადება.

ფრონტის დღე

ყველა დღეები ერთგვარი არ არის; ერთი დღე ბევრად გაიჩრება მეორესაგან თავისი შინაარსით. მაგრამ არის ხოლმე ისეთივე განსაკუთრებული დღეები თავისი დანიშნულებით, რომელიც ყველას თვითეულ მოქალაქეს მოიხსენებს თავისი მოქალაქეობრივი თუ სამხრთო ვალი სამშობლოს წინაშე; სწორედ ასეთი დღეა დღევანდელი დღე, **ფრონტის დღე**; ეს დღე ავალებს ყველას, ღირებს, მდიდარს, ღარიბ თუ პატარას სამშობლოს სამსხვერპლოზე მოიტანოს თავისი წვლილი, ვინაც თუ ცოტა სულერთია, მცირეც შეწირების. ან როგორ უნდა დავზოგოთ ჩვენი ქონება მისთვის, რომელიც სიცოცხლეს არ ზოგავს ჩვენ დასაფარავად, დემოკრატიული სამშობლოს საკეთილდღეოდ, მის გასამარჯვებლად.

ჩვენი ყოფნა—არ ყოფნის საკითხი დამოკიდებული ფრონტზე, ამისათვის უნდა ვიხარჯებოდეთ მასზე; უნდა ვეფიცოთ, ულოცავთ მას; არ შეიცვალოთ, არ მოვიშიოთ ჩვენი საკეთესო შვილნი, რომლებიც დღეს ამ სასტიკ, ყინვიან ცივ დღეებში დღე და ღამე სდარაჯობენ ჩვენს რესპუბლიკას, რომლის კარებს მტერი მოსდგომია და ღამობს შემოვარდნას.

და თუ შესძლო ულმობელმა მტერმა ჩვენს მიწა-წყალზე ფეხის შემოდგმა, მაშ ნ იცოდეთ მორჩა, უნდა გამოვეცხოვრთ ჩვენს დამოკიდებლობას, თავისუფლებას, ყოველივე მას რაც ჩვენთვის წმინდათა-წმინდას შეადგენს, და რისთვისაც ამოდენა სისხლი დავღვარეთ; სტრატეგიაში ჩვენი ფიზიკური არსებობაც კი; ამას ნათლად ამტკიცებს ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც ეხლა იმყოფება ჩვენი მეზობელი ერები.

მარტო დავრჩით, მარტო, მაგრამ სიმარტოვე საქართველოსათვის არ არის ახალი, ის მას ჩვეულია ისტორიულად, და მიტომ განვითარდა ქართველ ერში მებრძოლი სული და დაიცვეფენი, მტკიცე ნებისყოფა, რასაც დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა უფრო გაორკეცებას და მით უზრუნველ ყოფს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას.

და ეს გამარჯვება ეხლა ნურავის შეეპარება სანამ ჩვენი საყვარელი შვილი უშიშრად გამხდარი აქვთ მკერდი მტრის დასახვედრად.

მაგრამ საჭიროა მათ იგრძნონ, რომ სულით, გულით მთელი თავის არსებით მათთან არის მტერთან ბრძოლაში მთელი ერი, რომ თვითეული მოქალაქე თანაწყრომად იზიარებს ფრონტის მდგომარეობას. დღეს ერთხელ კიდევ უ და დაუტკიცოთ ჩვენს მებრძოლთ, რომ ჩვენ მათთანა ვართ ერთიანნი ჩვენთან, რომ ჩვენი გზა და მიზანი ერთია და ეს საერთო მიზანია ქვეყნის თავდაცვა, რომელსაც ყველაფერს ვსწირავთ, რაც გვაქვს ჩვენ.

ბევრ მებრძოლს შეიძლება აწუხებს ფიქრი სახლში უმწეოდ მიტოვებულ დედის თუ ცოლ-შვილზე, მაგრამ ამაოდ, ჩვენ შეუშლიათ მათ ცოლ-შვილს კლავლებს; სახლში დარჩენილი მისი მეზობელი მიხედავს მის ცოლ-შვილს. უპატრონებს, ფრონტის დაბმარე კომიტეტი მისცემს შინ დარჩენილ მებრძოლის ოჯახს სარჩო-საბადებელს, არ მოაკლებს მფარველობას, ის არ აგრძნობინებს ობლობას, მაგრამ რა ჭირება ექნება დაბმარე კომიტეტს თუ შენ რესპუბლიკის შვილო, არ გამოიღებ შენს წვლილს, თუ არას დღეს არას შესწირავს ფრონტს.

მაშ, სანჭიროდ მოიხადე შენი ვალი!

დღეს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა მეტად ძნელია, ამისათვის ძნელი იქნება სახელმწიფომ იკისროს ყველაფერი თავდაცვისათვის საჭირო ხარჯები, აუცილებლად საჭიროა საზოგადოებრივი დახმარება, ამას აქვს, როგორც რელიეფი, ისე მორალური მნიშვნელობა.

მაშ, დავეხმაროთ სახელმწიფოს თავდაცვის საქმეში, მივაწოდოთ ჩვენი წვლილი!

ფრონტის დღის წესრიგი

1) შობის ხე ამართულ იქნება მხოლოდ ს.ს.ხ.ბის წინ და აქვე ფულებში და სკივრებში მიიღება შემოწირულებანი ფულით და ნივთით.

2) შობის ხესთან გამართულ იქნება კარავი, სადაც გაიყიდება გაზეთი „ფრონტის შობის ნი“. აქვე გამუქმებით მორიგეობით დაუკრავს ორკესტრი.

3) მალხაზისა და დაწესებულებათა დაკეტვას 2 საათის წინ ქალაქის სხვადასხვა უბანში ჩამოაელის ეტლები კომისიის წევრებითურთ საჭირო ნივთების და შემოწირულებათა შესაგროვებლად.

4) მოძრავი ყულაბები ქუჩებში არ იქნება ჩამოტარებული. ყულაბები დაიდგმის ქალაქის მთავარ პუნქტებსა, თეატრებში და სანახაობებში.

5. 25 დეკემბერს გაიმართება გრანდიოზული სალამო „შობის ხით“ (ყოფილ ქ. ჭიჭინაძის) სახლში სახლობის ქ ნ ვიოლინისტის ბატონ ოსკარ ტ ნ ვიოლინისტის და 26 დეკემბერს ასეთივე გრანდიოზული საღამო „შობის ხით“ იმართება ქართულ კლუბში (დამფუძნებელი კრების ქუჩა) სადაც დიასახლისობს ქ ნი გეგეჭკორისა. ასეთივე სალამოები გაიმართება თეატრში 28 დეკემბერს და „ელიტ ჯიმში“ 2 იანვარს.

იუსტიციის სამინისტროში

დეკემბრის 22 ს. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით შეიქმნა კანონთა გადამსინჯავ კომისიის სამოქალაქო განყოფილების სხდომა. სხდომაზე გაირჩა ქორწინებისა და განქორწინების საკითხი. კომისიის სხდომაზე დასწრებენ: სამთავრობო სამუშაოს, შესრულებით და ებრალეთა ერთეულ საბჭოებისა და კათოლიკეთა ეპისკოპოზის წარმომადგენელნი. სხდომამ ორი საკითხი განიხილა პარალელურად. ლონიშნულ პროექტების განხილვის შემდეგ სხდომამ ძირეთ შემდეგი პრინციპიალური დებულებები: 1) საქართველოს რესპუბლიკა კანონის გამოცემიდან ცნობს მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას, თანახმად ამისა ქორწინება სავალდებულო სამოქალაქო ქორწინებასთან ერთად შეიძლება შესრულებულ იქნეს თანახმად დასაქორწინებელთა სურვილისა და ეს მათი კერძო საქმეა. 2, სამოქალაქო ქორწინება, რომელიც შესრულებული იქნება საქართველოს სახელმწიფო-გარეთ მყოფ ქვეშევრდომთა მიერ, შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად, მაგრამ საქართველოში დაბრუნების შემდეგ მეუღლეებმა ეს ქორწინება სარეგისტრაციო განყოფილებაში უნდა აღნიშნონ. 3, იმ მამაკაცებს, რომლებიც არ იქნებიან სრულწლოვანი სახელმწიფო 20 წლისა და ქალებს 16 წლისა არ აქვთ შეუძლებს უფლება. თუ იქნება განსაკუთრებული პატივსაცემი მიზეზები ამ ვადის შემცირება მშობლებისა და ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლის თანხმობით შეიძლება, სამი წლით იქნეს შემცირებული. თუ შესულებელ პირთა მშობლები არ არიან ცოცხალნი ან არ იმყოფებიან საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში, მაშინ ვადის შემცირება შეიძლება მომრიგებელ მოსამართლესაც. მიღებულ ძირითად დებულებათა რედაქცია საგანგებო კომისიას აქვს მინდობილი. კანონ-პროექტის განხილვა დეკემბრის 25 შესდგება.

— იუსტიციის მინისტრმა შინაგან საქმეთა, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროებთან შეთანხმებით განკარგულება გასცა მო-

რჯომის რაიონში ცალკე სანოტარიუსო კონტორის გახსნის შესახებ. ნოტარიუსის ნიშნავების შესრულებს ერთ-ერთი პოსტიგებელი მოსამართლე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო

ნავთი საქართველოსთვის.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ბაქოდან საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელის გ. ხ. ჯაფარიძისაგან დეპეშა, რომლის თანახმად 20 დეკემბრის ბაქოდან გამოუშვებენ საქართველოში ორი სამარშრუტო მატარებელი ნავთით, ერთი 55 ვაგონით და მეორე 53-ით. მესამე მატარებელი გამოვა ბაქოდან 21 დეკემბერს.

უკრაინა და საქართველო.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო მოსკოვიდან საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელის ბ. გ. მ ხარაძისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა: ჩემი წინადადების პასუხად უკრაინის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ბ. რაკოვსკიმ 3 დეკემბრის № 2174 დეპეშით მაცნობა, რომ უკრაინის სახელით მზად არის შეუდგეს სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ საქართველოსთან ხელშეკრულების შემუშავებას. მოლაპარაკების ადგილად დანიშნულია მოსკოვი.

მთავრობაში

ფეხსაცმელები ფოსტა-ტელეგრაფისთვის.

მთავრობამ, მოიხმინა რა მოხსენება მთავრობის თავჯდომარისა ფოსტა-ტელეგრაფის ხუროების პროფესიონალურ კავშირის მიერ აღძრულ შეიმდგომლობაზე დაბალ მოსამსახურეთათვის უფასო ფეხსაცმელების მიცემის შესახებ, დაადგინა: მოწოდოს პრინციპიალურად მოხსენება და ქუთაისსა და ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის სარდლობათან ადგილად დანიშნულია მოსკოვი.

შეღავათების მოხსნა.

თანახმად სახალხო მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: დროთის ნებადართვა რესპუბლიკის საზღვრებში საბაჟოს ჩემოტანისა და მით გაჭრობისა.

13 მილიონი კინემატოგრაფებისთვის.

— თანახმად სახალხო განათლების მინისტრის მოხსენებისა კინემატოგრაფის მრეწველობის საჭიროებისთვის საჭირო თანხის გაღების შესახებ მთავრობამ დაადგინა:

1) გადასდვას სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში სამრეწველო კრედიტად ნ 13 მილ. მან.; 2) მაიძულოს ფინანსთა მინისტრის გამოძახების, თუ წარმოებს რომელ მონაწილეს არ შეუძლია მასზედ ვადით თანხა ჯეროვანად და მისცეს მათ წინადადება თანხის დაუყოვნებლივ შეტანის შესახებ.

გზათა დეპარტამენტში

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა წარუდგინა მთავრობას განსაკუთრებულად პროექტი იანების გზის სატარიფო კომპიტის წესების შესახებ. პროექტთან დართულია განმარტებითი ბარათი. ბარათში აღნიშნულია, რომ დროებითად დამფუძნებელ კრებაზე ბიუროდან დამფუძნებელ კრებაზე ბიუროდან დამფუძნებელ კრებაზე ბიუროდან

ხელფასები.

ბაქოდან აცნობებენ, რომ ბაქოს საზოგადოებისაგან ფარიკაობის და ქარხნების გამოყოფის შესახებ, დაადგინა. შეძენილ იქნეს აღნიშნული საქციონერო საზოგადოებისაგან ფაბრიკები და ქარხნები თანხმად მეპატრონეების მიერ წარდგენილ ფასებისა. შეძენილი იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ტყვის დამამზადებელი, 2) ბაღდების დამამზადებელი და 3) ფეხსაცმელების დამამზადებელი. შემდეგ შეიძლება ტანსაცმლის დამამზადებელი ქარხნის ორივეს ცალკე მანქანა, ელექტრონის სადგური, ყველა განყოფილების ნედლეი მასალა, წვიმების ტრიმის ყველა მანქანა და სატრანსპორტო საშუალებები მთელი ეს ქონება უნდა გადაეცეს სამხედრო მინისტრს გამგეობაში.

სახარისის შემოკავება.

თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: დართოს ნებადართვა რესპუბლიკის საზღვრებში სახარისის ჩემოტანისა და მით გაჭრობისა.

13 მილიონი კინემატოგრაფებისთვის.

— თანახმად სახალხო განათლების მინისტრის მოხსენებისა კინემატოგრაფის მრეწველობის ს ჭიროებისთვის საჭირო თანხის გაღების შესახებ მთავრობამ დაადგინა:

1) გადასდვას სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში სამრეწველო კრედიტად ნ 13 მილ. მან.; 2) მაიძულოს ფინანსთა მინისტრის გამოძახების, თუ წარმოებს რომელ მონაწილეს არ შეუძლია მასზედ ვადით თანხა ჯეროვანად და მისცეს მათ წინადადება თანხის დაუყოვნებლივ შეტანის შესახებ.

გზათა დეპარტამენტში

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა წარუდგინა მთავრობას განსაკუთრებულად პროექტი იანების გზის სატარიფო კომპიტის წესების შესახებ. პროექტთან დართულია განმარტებითი ბარათი. ბარათში აღნიშნულია, რომ დროებითად დამფუძნებელ კრებაზე ბიუროდან დამფუძნებელ კრებაზე ბიუროდან დამფუძნებელ კრებაზე ბიუროდან

ხელფასები.

ბაქოდან აცნობებენ, რომ ბაქოს საზოგადოებისაგან ფარიკაობის და ქარხნების გამოყოფის შესახებ, დაადგინა. შეძენილ იქნეს აღნიშნული საქციონერო საზოგადოებისაგან ფაბრიკები და ქარხნები თანხმად მეპატრონეების მიერ წარდგენილ ფასებისა. შეძენილი იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ტყვის დამამზადებელი, 2) ბაღდების დამამზადებელი და 3) ფეხსაცმელების დამამზადებელი. შემდეგ შეიძლება ტანსაცმლის დამამზადებელი ქარხნის ორივეს ცალკე მანქანა, ელექტრონის სადგური, ყველა განყოფილების ნედლეი მასალა, წვიმების ტრიმის ყველა მანქანა და სატრანსპორტო საშუალებები მთელი ეს ქონება უნდა გადაეცეს სამხედრო მინისტრს გამგეობაში.

სახარისის შემოკავება.

თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: დართოს ნებადართვა რესპუბლიკის საზღვრებში სახარისის ჩემოტანისა და მით გაჭრობისა.

13 მილიონი კინემატოგრაფებისთვის.

— თანახმად სახალხო განათლების მინისტრის მოხსენებისა კინემატოგრაფის მრეწველობის ს ჭიროებისთვის საჭირო თანხის გაღების შესახებ მთავრობამ დაადგინა:

1) გადასდვას სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში სამრეწველო კრედიტად ნ 13 მილ. მან.; 2) მაიძულოს ფინანსთა მინისტრის გამოძახების, თუ წარმოებს რომელ მონაწილეს არ შეუძლია მასზედ ვადით თანხა ჯეროვანად და მისცეს მათ წინადადება თანხის დაუყოვნებლივ შეტანის შესახებ.

საუთო სამმართველოში.

სამთო სამმართველოში ამ ბოლო დროს შეიჭვიდა განცხადებანი სხვა და სხვა მადნების აღმოჩენის შესახებ. ამ განცხადებიდან და უცხო მრწყველები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს სიმდიდრის დაშუშვების საქმეში. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ნავთსა, ქვანახშირისა, მარილისა და სხვათა დამუშავების საქმეში. სამთო სამმართველოში არის ცნობები იმის შესახებ, რომ ტყვლისის მხარეში მდებარე სოფელ უკაიშიში უკვე დაიწყო მუშაობა ნავთის გამოსაკვლევად. ჯერჯერობით ბაქოს ნავთის მრეწველობისა შეუდგა ასეთივე გამოსაკლევ მუშაობას სოფელ ნორიაში, და ამ დღეებში მოველებენან მარტყოფის რაიონში. გარდა ამისა ამ დღეებში

ს. შ. ს. რ. კავშირის ჩხეიძესთან

საქართველოს დელეგაციის თავჯდომარე კრილ ჩხეიძე, რომელიც ევროპიდან ტფილისს დაბრუნდა 22 დეკემბერს.

საქართველოს საკითხი.

როდესაც ჩვენ პარიზში ვიყავით, ჩვენს შესახებ იქ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ და სახვო კონფერენციის ირგვლივ არ იმართებოდა საქართველოს საკითხი, ეს საკითხი მის წინაშე არც იდგა.

თეორიულად ზევ უნდა აღვნიშნავიო ხელთა თავთავმორჩენის ს სფეტქვილზე, მგრამ ამ პოინტას არ ჰქონდა კონკრეტული, აქტუალური ხასიათი, როგორც ეს ჩვენთვის საჭირო იყო.

ეს ის დრო იყო, როდესაც გამორჯულები ანტანტა საკითხს აყენებდა იმისთვის, რა მდგომარეობაც ხაზს პასუხი უნდა გაეცა ოთხ მარ გამოწვეულ საკითხებისათვის, ამ ტრიბუნის დროს არ იყო ხელსაყრელი ატმოსფერა ჩვენი საკითხის პრაქტიკულ დაყენებისათვის.

რუსეთის პრობლემა

თავის თავად ცხადია, რომ იმ საკითხებში, რომელიც ხაზის ავახს შეეხებოდა, ყოველ რუსეთის პოპოლვის მაშინაც უდიდესი დაუშვებელი ნაბიჯი იქნებოდა მერე, რომ ყოველივე ცდა ამ იდეიის დარღვევ საკენ მიმართული იმ დროს უსაფუძვლო იყო. კონფერენციის მეორე მონაწილეც ინგლისი, რომელიც უდიდეს გავლენა ჰქონდა, მართალია რუსეთის შესახებ წიხაძლებელი იზრის იყო, მაგრამ არც ის სთვლიდა საჭიროდ იმ დროს აქტუალური პოლიტიკა ეწარმოებინა ამ საკითხზე და უფრო ხელსაყრელ დროს უცდიდა. გარდა ამისა, ჩვენ, როგორც სახელმწიფოს ერს, მიელი ჩვენი წარსულით და აწმყოთი, გადაჭრებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ევროპაში სრულიად არ გვცნობდენ. ასეთი იყო სიტუაციები ევროპაში ატმოსფერა, რომელში ც მოხდა ჩვენს დელეგაციას პირველი ნაბიჯების გად დ მა. დელეგაცია ტ ქ ა ასეთი იყო, რომ სადაც კი საჭირო ა ჰქონდა თავისი ხმის მიწედებისა, გამეორებულად წრეებისა, ეს ხმა უნდა მიეწვდინა:

ჩვენი დამოკიდებულობა და სოციალ. სტური წრეები.

ოვის თავად ცხადია, რომ დელეგაციისათვის მეტად საინტერესო იყო, თუ ასეთ ძნელ პირობებში როგორ შეხედავენ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს სოციალისტური წრეები. ეს ის დრო იყო, როდესაც სოციალისტური წრეები საფრანგეთში რუსეთის დიდი რევოლუციის ზეგავლენის ქვეშ იყვნენ. ყველამ კარგათ იცის, თუ როგორ შეიბენდლება მოახდინა მთელს კაცობრიობაზე რუსეთის რევოლუციამ. როდესაც ჩვენი დელეგაცია ჩვიდა პარიზში, როგორც ცვიათ, მაშინ რუსეთის რევოლუციის მემკვიდრენი უკვე ბალშეიკები იყვნენ. ბალშევიზმი იმ დროს სოციალისტების თვალში მოცული იყო რუსეთის დიდი რევოლუციის ორიოლით.

სოციალისტურ წრეებს ჩვენ გადაჭრილი პასუხი მივეცით ორი საკითხის შესახებ: ინტერვენციის და ბალშევიზმის შესახებ. ჩვენ თვის მაშინაც ცხადი იყო, რომ გარეშე ძალების ჩარევით რუსეთის საქმის მოწესრიგება შეუძლებელი იყო, რომ რუსეთის ბალშევიზმი, მოუხედავად იმისა, რომ ის მიზნათ ის ხავს ამ ბანათ რუსეთში სოციალიზმის დამყარებას და რუსეთის საშუალებით ეს მთელ ქვეყნიზე, ის ცხოვრების პროცესში უნდა იქცეს უაზრესეს რეაქციურ მოძრაობათ; და ჩვენ ხაზი გაუსვით, რომ თუ საქართველოს სურს რამენაირად აიცილოს ამ უსაზრესეს მომავალი რეაქციის ქარიშხალი, რომ შეინ რჩეოს თვისი ფიზიური არსებობა და დიდი რევოლიუციით მონაპოვარი, ის საქართველო შეიძლება უნდა დაადგეს დამოუკიდებლობის გზას. საკმაო იყო ასეთი ცხადი და გადაჭრილი დეკლარაცია რუსეთის შესახებ, რომ ჩვენს საკითხს იმ ხან სოციალისტებში თვალში სათანადო ინტერესი ვერა მოვიპოვებია.

არა სოციალისტური წრეები და ხალხთა თვალსა.

რაც შეეხება კონფერენციას ეს არა სოციალისტურ წრეებს მათ მიეპყრეთ ჩვენ საკითხებისა შესახებ დაწვილებითი განმარტებით, რითაც ვამტკიცებდით, რომ ერთად ერთი სწორი და ბუნებრივი გზა, რომ რუსეთის საკითხი, რომელიც ასე დიდად ინტერესებდა კონფერენციას, ბასურულად გადაწყვეტილიყო, ეგორც რუსეთის ბალშევიკებისათვის, ისე საერთაშორისო დემოკრატიისათვის, ეს იყო გზა ყოფილ რუსეთის ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის; რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა შექმნილიყო სალი ატმოსფერა, როგორც ეგანომიური ისე პოლიტიკური ურთიერთობისა რუსის ხალხსა და იმ ერის შორის, რომელნიც შეიორგანენ და დამოკიდებულნი იყვნენ რუსეთის თვითმყრობელობის დროს. ვინც რუსთის წარსულს საკმაოდ კარგად იცნობს, მისთვის ეს დებულება სრულიად ავვილად გასაგებია.

რუსეთი ვერ იცნობდნენ.

სამწუხაროდ ევროპაში ამ ორი წლის ცხოვრებამ, სხვათა შორის, ერთი რამ დამხსნა: მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც რუსეთს ჰქონდა ისტორიაში, დასავლეთი ევროპა, მეტი რომ არა ვსთქვათ, საკმაოდ მაინც ვერ იცნობს მას. ამიტომ საჭირო შეიქნა, რომ დასავლეთ ევროპას თავის თვალით დაენახა და განეცადა ის გაკვეთილები, რომელსაც ცხოვრება იძლეოდა. საჭირო შეიქნა მოვლენა კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელის და სხვათა, რომ დასავლეთ ევროპაში მიხვდარიყვნენ, რომ რუსეთის ძველ ფარგლებში გაერთიანება ბურჟუაზიის მოულებელ უტოპია არის. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გაკვეთილები განიცადეს, როდესაც შეთვისებულ ის აზრი, რომ რუსეთის ძველ ფარგლებში გაერთიანებისაკენ მიმართული ცდა დაინტერესებულ სახელმწიფოს არსებით ინტერესებს დიდ ზიანს აყენებს, მხოლოდ მაშინ შეიქნა შესაძლებელი, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისათვის მეტი ყურადღება მიექცეთ.

ხალხთა ლიგის დიპლომატიური წრეები და ხალხთა ლიგა.

ჩვენი საკითხის პრაქტიკულად დაყენების ხელს უშლიდა ერთი გარემოება: სახელმწიფო ის, რომ ჩვენ—ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომ დგენელნი—ერთსულოვნად ვერ წვარედ ვით ვის წინაც ეს ჯერ იყო. ყოველ შემთხვევაში, დიდი მოსენტი, როდესაც ჯონფერენცია ცხოვრების მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები ჩაბარა და წოდება მიიღო 88 კაცმა. ეს კურსები გაგრძელდა დაახლ. 76.364 მან.

გაიხსნა 5 ახალი დაწყებითი სასწავლებელი: ხენობანში (ბიდისთავის თემში) გრიგოლეთში (სუფსის თემში) მალთა-ჯუმათზე (ჯუმათის თემში) წიფწარა-სურეზე (ჯიხანაის თემში) და გოგოლეის უბანში (ჩოხატაურის თემში).

დამატა გასულ წელს ონჯაკეთში, იანეთში, წყალ-წმინდაში, ახალ სოფელში და ზოტ-ში გახსნილ დაწყებით სასწავლებლებს თითო კომპლექტი.

გასულ წელს მაზრის დაწყებითი სკოლებში ირიცხებოდა 321 მასწ., წელს სამაზრო ერობის გამგეობამ, მიმდინარე სამოსწავლო წლის დასწყისი დაუნიშნა 23 ახალი კომპლექტი, ასე რომ დაწყ. სკოლების მასწავლებელთა რაოდენობა ამ ჟამად 344.

მოწვეულია დაწყებითი სკოლების ერთი ინსპექტორი, ამ დღეებში მოიწვევა მეორე.

შემუშავებულია პროექტი მაზრაში 131 საკვირაო სკოლების და 21 სახალხო უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. საკვირაო სკოლები და სახალხო უნივერსიტეტები გაიხსნება დეკემბერში.

გამგეობას ყავს რამდენიმე სტიპენდიანტი უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში.

დაწყებითი სკოლების შენობათა შესაკეთებლათ გაღებულ იქნა ერობის სალარიდან 400.000 მანეთი.

მიღებულია ზომები მასწავლებელთა მგზავრობის გასაადვილებელათ სურსათის ნაბრზე მიცემით.

ხუხუნ.

(შემდეგი იქნება)

მუნიციპალ. ცხოვრება

ლანჩხუთის თვითმართველობაში.

უკანასკნელი დადგენილებანი:

მიღებულ იქნა კომისიის მოხსენება ძველი შენ სრება ჭრილი ხის შესახებ. შედგეს მოკალაქეთა სრული სია, რათა შემდგომში კომისიას საშუალება მიეცეს წინადელ აღწერის დროს გამოჩენილ მოქალაქეს შეიყვანოს ჭარაგ ჭონებაზე გადასახადში.

— მიღებულ იქმნა კომისიის მოხსენება: მსხვილ ფეხა საქონელზე: კ მეჩხე, ძროხაზე, და ბარზე, გადასახ და დაწესდეს 100 მანეთი;

წვრილფეხა საქონელზე: ღორზე 70 მ., ცხვარზე 60 მ., ხბოზე 60 მ., თხაზე 50 მ., სპალნეზე გადასახადი: ყველზე 200 მ., ღვინოზე 200 მ., ხილზე 100 მან., ჭაობებსა, კეცებზე და ს. ხ. 100 მანეთი.

საწყობე მოვაჭრეებს: მანუფაქტურაზე 500 მან., საწვრილოზე 200 მ., სტოლეთ მოვაჭრეებზე 300 მ., ცუცხალ საქონელზე 50 მ. 100 მდე. ბიტკებზე 2000 მ. თვეში. პატარა ბიტკებზე 1000 მ. ეს დადგენილება შედის ძალაში ა. წ. პირველი დეკემბრიდან.

— გამგეობას დაევალა უბნის სამჭიების საშვალებით მიდგინოს სია წერა-კითხვის უცოდინართა და გაუგზავნოს სავალდებულოთ მათ წერა-კითხვის შესწავლა:

— იურიდიულ კომისიას დაევალა გაეწიოს ანგარიში და თვალ ყური ადევნოს სპეკულაციას და ბოროტ-მომჭირნე პირები სასტიკად დასაჯოს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

◆ **სამხედრო ვალდებულთა ბაყურაღებით.** ქ. ტფილისის სამხედრო მიწერები კომისია შესდგება ყოველ სამშაბათობით დილის 10 საათიდან. ყველა სამხედრო ვალდებული საქართველოს ქვეშევრდომი მოქალაქე, რომელიც დღემდის არ გამოცხადებულა მიწერებ კომისიაში რომ მიზეზით ან ვისაც მიეცემოდეს ვადა გამოცხადებისა ავადყოფობის გამო გაუჩვენოს, უნდა გამოცხადეს სამხედრო აღრიცხვის ნაწილის ბინაზე. (ვაგზლის ქ. № 10) უფრველად 9 საათიდან ვიდრე 10 საათამდე და წინააწერ ჩაეწერონ რიგში.

◆ **შრომის ბეგარა.** ვალდებულთა სამობილიზაციო კომისიამ ამით აცხადებს, რომ ის ნოემბრის 24 სამხედრო სასწავლებლიდან გადადის ახალ ბინაზე, სახალხო გვარდ საგან. ბათილოთნის შენობაში.

◆ **ჭალ ჭის ბაბის სხდომა.** მიმდინარე წლის განმავლობაში დეკემბრის 25 ქალაქის საბჭოს უკანასკნელი სხდომა შესდგება. დღის წესრიგში შეტანილია: 1. მოხსენება სანიტარო განყოფილების რევიზიის შესახებ, 2) თვითმართველობის მოხსენება წყლისა და ტრამვაის ტარიფის გადადების შესახებ. 3) თვითმართველობის მოხსენება სხვა და სხვა საგნებზე ნ ბრძანებულებაში გატარებისთვის წვრილების ჩარეულის შესახებ. 4) მუნიციპალურ არჩევნებისათვის ტფილისის მცხოვრებლთა ალწერა და სხვა.

◆ **კარითფილი.** მუშათა მაგიდა ყველა დაწესებულებების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ფაილის მუშათა მაგიდაზე კარითფილი 3 დღის განმავლობაში. კარითფილის დაწესებულების ოფიციალურად აძლევენ ვინც არ წაიღებს დეკემბრის 26-ის შემდგ ქართოფილის მიღების უფლება დაეკარგება.

◆ **ილ. ჭავჭავაძის ხალამი.** მეორე ქართულ კლასებში 26 დეკემბერს, ფრანდ სანტ-ტერეზა პოგრომის, შვილ 5 გ. ქუჩიშვილის და მესტერე ბიჭის ბეთლემის მონაწილეობით გამართება მოხატელე მესაუის ილია ჭავჭავაძის მხატვრულ მუსიკალური ლექცია.

რკინის გზაზე

თანახმად ბრძანება დეპარტამენტის განკარგულებ სა სახიზნო რკინის გზებზე მატრებელთ ახალი განრიგები ამის შემოღე ულ: თანახმ და ბლი განრიგების ტფილისიდან ბათომში გადის: № 21 მატარებელი 2 საათ. და 50 წ., № 7 მატარებელი 22 საათ. და 57 წ., № 3 მატარებელი 9 საათ. 03 წ.; ბათომ დან გამოსული ბათომ ბელი ტფილისში ეშვის: № 4 მატ. 21 საათ. და 39 წ., № 8 მატ. 9 საათ. და 47 წ., № 23 მატ. 3 საათ და 16 წ., ტფილისიდან ბორჯომში გადის: № 19 მატ. 16 საათ. და 29 წ., ტფილისიდან სანაირში გადის: 16 საათ. და 25 წ., სანირ ში 10 საათ. და 31 წუთი, ტფილის და ქუთაისს შორის და ქუთაისს და თელთს შორის პირდაპირ მიმოსვლის მოსაწყობად შეიღებულია მიქიაგონები.

— 15 და 16 დეკემბერს, ჩამოწყობილმა მეწყობამ სიგრძილ დაახლ. ერთ ს გზის ლიანდაგი ტყიბულის შუაის მე 30 ვერსზე, რამაც გამოიწვია მატარებლების მოძრაობის შეჩერება. ბილეულ ზომებით მოძრაობა 18 დეკემბრის ღიდე ნილი.

ᲥᲘᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ

— 21 დეკემბერს სისხლის სამართლის პალატის ქალაქ ტფილისში ოლიგარიას ბინიდან (ანდრეევის ქ. № 75) სხვა და სხვა ნივთების მოპარვა 500 000 მან. ღირებულების გამოტყდა.

— სისხლის სამართლის მილიციის უფროსის დადგენილებით 23 ამ დეკემბერს დაპატიმრებულია და მოთავსებულია სასყობილში ადმინისტრატიული წესით ორი თვის ვადით ალექსანდრე სერგეფონის ძე რომაქიძე, როგორც წვრილ ბოროტ-მომქმედთა გზრდისი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ორი წლის წინად, როცა მე ტ ქართველს პალატმენტის წევრად ვიყავი, ამავე დროს სპრიწველი და საზოგადოებრივ საქმეებში ჩამეული, ჩემს წინააღმდეგ ცილის წამებით სავსე ბროშურები გამოაქვეყნეს, ვითომ მე საქართველოს ბაზისიდან გზათა სატრანსპორტო საქმეებისათვის ჩემი კუთვნილი ფული ერთი მილიონი თხუთმეტი ათას ხუთას ათი მანეთი და ორმოცდა ორი კაპიკი უკანონოდ გამომეტებინოს. ეს მაშინვე, როცა მე ნაღდი ფული გატანილი არ მქონდა, ხოლო სხვებს, რომელთაც ფული მართლა გაიტანეს, პასუხი არ-ვინ მოსთხოვნა და ვერც მოსთხოვნენ. ამ უსამართლო პრაფლებასთან ბრძოლისას საოლქო სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ამა 1920 წ. ნოემბრის 28-ს სრულიად უდანაშაულოდ მცნო, გამამართლა, რის გამოც მთავალი მოლაპარაკებები თუ წერილი მომდის.

ვინაიდან უკეთ ეყოფობის გაგზავრების გამო არ ძალმიძს წყვილას სათანადოთ მიდლობა მოგახსენო, ამ ტრიტ ყველას, ვინც კი სულიერი გაიცნობს დროს თანაგრძნობა გამომიცხადა, ჩემს გულითად მადლობას უცხადებ.

ამასთანავე ჩემს სიღრმეთ მოვალეობით მივიჩ ე, რომ ის თანხა (1015510 მ. 42 კ.), რომელიც ფინანსთა სამინ სტროს ბრალით ვითომც საქართველოს ხაზ ნ დან უკანონოდ გამომეტანა, სრულიად გადავსცე სამხატლოს თავდაცვის კომიტეტს.

პატივისცემით ივ. ვარაზაშვილი.

ნამდვილს ზედ აწერია:
ვაჭრობა" 25 ოქტომბერი, 1920 წ. თემას
თა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ხ. ჯაველიძე.

წესდება

ჭიათურის ბანკისა.

IV. აქციონერთა საზოგადო კრება

§ 63.

საზოგადო კრების მოწოდებისათვის განცხადებანი წინ და წინვე უნდა დაიბეჭდოს, ყოველ შემთხვევაში, ოცდა ერთი დღით მაინც ადრე საზოგადო კრებამდე, ერთ მთავრობის მეჭდვითი ორგანოში. განცხადებაში ნამდვილათ უნდა იყოს აღნიშნული:

ა) დღე და საათი საზოგადო კრებისა, ბ) ბინა, საცა უნდა სწარმოებდეს კრება და გ) დღეწყრილების შედგენილი სია იმ საქმეთა, რომელთა განსჯა და გადაწყვეტა კრებას ეკუთვნება.

გამგეობის მოხსენებანი განსახილველ საგანთა შესახებ საქმიო უნდა იყოს დაზადებული და აქციონერთ შეძლება უნდა მიეცეს შეიდი დღით ადრე მაინც გაეცნან ეგ მოხსენებანი, ვიდრე კრება დაიწყებოდეს.

§ 64.

სხვლობითი აქციების პატრონები, გარდა განცხადები ა, უნდა მოწვეულ იქმნენ კრებაზე წერილობითი. რომელიც ეგზავნება მათ განსაზღვრულ დროს (64) ფოსტით დაზღვეული წესით და იმ ადრესით, რომელიც გამგეობას უნდა ქონდეს მისწერილი თავის დავთრებში აქციონერთა ჩვენებით.

§ 65.

რომ საზოგადო კრება კანონიერი იყოს, საჭიროა დაესწრონ აქციონერები ან მათ რწმუნებულთა, ერთად წარმომაოგენენი ერთად მეხუთედისა, ხოლო დადასტურებულად იმისა, გადადებულ თუ შემცირებულ იქმნას ძირი მოთხობა, შეიცვალოს თუ არა წესდებულება, ბდეს თუ არა ბანკის

*) ხსენებთანადო განცხადებ თ ოქტომბ. № 972 ნაწილ სოფროს ს ძე ყარაბაგ ლ. რ ის ფაქტურა თავმჯდომ რ ს კ ა ა ა, რა. გამოც მოწერობის თა მჯდომარემ პრძანა ივ ვახობ ზილო მდელობა გამოეკ დოს.

ედ.

როცა ამისთვის საკალდებულო მიზეზი არ არის, საჭიროა დაესწრეს თანხის არა ნაკლებ ნაბეჭრისას.

§ 66.

თუ კრება არ აქციონერებს წარმოდგენილ აქციების რაოდენობის მიხედვით ზემოთ აღნიშნულ პირობას, ან საჭიროა გადაწყვეტის დროს საზოგადო კრებაზე არ აღმოჩნდება წესდებით საჭირო ხმათ უმრავლესობა, მაშინ ოთხ დღის შემდეგ არა უგვიანეს, უნდა მოწოდებულ იქმნას საზოგადო კრება ხელმეორედ ყველა იმ წესით, დაცვით, რაც წესდებაშია ამ საგნის შესახებ. მეორე კრება 14 დღეზე ადრე არ უნდა დაინიშნოს დღიდან განცხადებისა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, ხოლო გადაწყვეტილება მისი საბოლოოდ მიიღ დავად იქნება თუ რამდენი აქცია იყო წარმოდგენილი დამსწრე აქციონერთაგან. ეს გარემოება გამგეობამ წინდაწინვე უნდა აუწყოს აქციონერებს, როცა მოუწოდებს კრებაზე. ამასთან ხელმეორე კრებაზე უნდა განხილულ იქმნას ის საგნები, რომელიც პირველ კრებაზე უნდა განხილულიყო ანუ გ ნუხილველი დარჩა იმ კრებას. ეგ სამეში უნდა გადაწყდეს უბრალო ხმის უმრავლესობით. დადგენილებანი, შეწყვარებულნი საზოგადო კრების შეურ, სავალდებულოა ყველა აქციონერთათვის, როგორც კრებაზე დამსწრეთა, ისე ვარადამსწრეთათვის.

შ ე ი ნ ი შ ნ ა. იმ აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, ნება აქვს თავისი ცალკე აზრი წარადგინოს, რომელიც ჩართულ უნდა იქნას საზოგადო კრების ოქმში. ასეთი ცალკე აზრის პატრონს ნება აქვს, შეიდი დღის შემდეგ, დღიდან კრებისა, თავისი ცალკე აზრი დაწვრილებით დაწერილის და წარადგინოს, რათა დაეროს კრების ოქმსა.

§ 67.

საზოგადო კრებაზე თავმჯდომარეობს ერთ ერთი აქციონერი, რომელსაც ყოველთვის ცალკე ირჩევს კრება, კრების დაწყებისთანავე ვიდრე სხვა საქმეს შეუდგებოდეს, ამ არჩევნებე საზოგადო კრებაზე თავმჯდომარეობს საკუთ თავმჯდომარე, ან მისი მოადგილე. საზოგადო კრების თავმჯდომარე არ შეიძლება ეკუთვნოდეს გამგეობის, საბჭოს თუ სარევიზიო კომისიის შემადგენლობას.

§ 68.

რათა კანონიერი იყოს დადგენილებანი [illegible] რომ იქი დადგენილებანი [illegible] წესდებულ იყოს ხმის უმრავლესობით, მხოლოდ გადაწყვეტილებანი იმ საქმეთა შესახებ, რომელიც მოხსენებულია მუხ. ე, ვ და ზ § 70 უნდა მიღებულ იქმნას დამსწრეთა ორი მესამედი ხმის უმეტესობით.

§ 69.

საზოგადო კრების განსახილველმა საქმემ გამგეო ის ხელი უნდა გაიაროს და წინაწერ განხილულ იქმნას საბჭოში, თუ რომელსმე აქციონერს სურს წარადგინოს კრებაზე რაიმე აზრი ბანკის სასარგებლოდ, ანუ იჩივლოს მის წინაშე მართვა-გამგეობის წესთათვის, თუით გამგეობის მოქმედებისათვის, უნდა მიმართოს გამგეობას, რომელიც წარმოუდგენს ამ აზრს, ვინდა საჩივარს საბჭოს განსახილველად თავისი ახრისა ან განპირობების ხედართვით. საბჭოს ა დამოკიდებული საქმის შემდეგი მიმართულება: ანსხოთავეს, წინადადება მაიცილ კრების კვირით წინ საზოგადო კრებამდე გამგეობაში წარდგენილი აქციონერთა მიერ, რომელთაც ეკუთვნის 1/10 ძირითადი თანხისა, უნდა მოხსენდეს განსახილველად საზოგადო კრების გაკეთების და საბჭოს აზრის ხედართვით.

§ 70

საზოგადო კრების ეუცილებელ მოვალეობას შეადგენს:

ა) არჩევა საბჭოს და გამგეობის წევრთა.

ბ) საბოლოო დამტკიცება ბანკის წლიური ანგარიშისა და წლიურისაე ბალანსი-რიცხვისა.

შენ ი შ ნ ა. ანგარიშის განსახილველად და საზოგადოდ ბანკის საქმეების და საქმეების შესამოწმებლად საზოგადო კრება ირჩევს ცალკე სარევიზიო კომისიას, იმ წესით გამგეობის წევრთა. კომისიის ამ წესით არჩევა ხდება ყოველ მომდევნო ორდინალურ საზოგადო კრებაზე, რომელიც ეწყობა 24-ს 1901 წლის ივნისს ლიანდაგის 14, 15, 16 და 17.

ბ) ბალანსის დამტკიცება ბანკის გასაყოფილათ და საგებეროთა დაარსებისა.

გ) განკარგულება უძრავ ქონების შეძენისა ბანკის საჭიროებათვისა.

დ) გადაწყვეტილება წესდების ამა თუ იმ პუნქტის შეცვლის და დამატებისათვის.

ე) განკარგულება ბანკის თანხის გადიდებისა თუ შემცირებისათვის.

ზ) გაუქმებისა ბანკის გაუქმების და მის საქმეთა ლიკვიდაციისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. დადგენილება საზოგადო კრებისა ბანკის განყოფილებათა და სააგენტოთა დაარსებისათვის, წესდების შეცვლის დადამტკიცებისათვის, ავრცელებს თანხის გადიდებისა თუ შემცირებისათვის გამგეო ამ ფინანსთა მინისტრს უნდა წარუდგინოს გარდასაწყვეტად.

§ 71.

ყოველგვარი არჩევანი საზოგადო კრებაზე იმწყვეტება სწარმოებს, რომელსაც თვით კრება დაადგენს. კენჭის ყრა აუცილებელი უნდა იყოს, თუ ამას მოითხოვს თუნდ ერთი აქციონერი, რომელსაც ხმა აქვს. თანხმობა კენჭის ყრა საველდებულოა, თუ საქმე შეეხება გამგეობის, სამეჩოს და საინსპექციო კომისიის წევრთა არჩევასა ან გადაყენებას და მათ სამართალში მიცემასა.

§ 72.

მუშაობა ერთის საზოგადო კრებისა, თუ საჭიროა, შესაძლოა გაგრძნობილ იქმნას რამდენსამე დღეს. მაგრამ არა უმეტეს ერთი კვირისა, დრო კრების გაგრძნობისა თვით კრებამ უნდა დანიშნოს ხოლმე.

§ 73.

იმ აქციონერებს, რომლებიც წევრნი არიან მართვა-გამგეობისა ან ზედამხედველ ორგანოებისა, კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვს არც პირადად და არც სხვა აქციონერების ეფექტიანი მეშვეობვაში, როცა გადასაწყვეტი საგანი შეეხება მათ სამართალში მიცემისა ან სამართალში მიცემისგან განთავისუფლებას, თანამდებობიდან მათ გადაყენებას, მათთვის სასყიდლის დანიშნას და მათ მიერ ხელწერილ წლიურ ანგარიშების დამტკიცებას. როცა გადასაწყვეტია საქმე პირობის შეკვრისა ბანკის მიერ იმისთან, ვინც აქციონერთა შორის ერთხება იმას არ შეუძლია ხმა იქონიოს კრებაზე, არც პირადათ, არც სხვა აქციონერების ეფექტიანობით.

§ 74.

თუ აქციები შემკვრელებით ანუ სხვა ვით, რამდენსამე პირს ეკუთვნის, ვიდრე ეს აქციები საერთო მფლობელობაშია, ხმის უფლება და მონაწილეობის მიღება საზოგადო კრებაზე მიეცემა ხოლმე ერთს მათგანს, მათ მიერვე არჩეულს.

§ 75.

იმ საქმეთათვის, რომელსაც კრება განიხილავს და გადაწყვეტს, უნდა შესწდეს დაწერილებითი ოქმი კრების ზედაწყვ ტილებისა

[illegible] ოქმში მოხსენებული [illegible]

[illegible] ასეთი ხმის უმეტესობით კრებამ მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება და აღნიშნოს ისიც, თუ ვინ რა ხაზი გამოსთქვა. ოქმს ადგენს თავმჯდომარის მიერ ცალკე მოწვეული კაცი და თან თავმჯდომარე კრების პასუხისმგებელია, თუ ოქმი არ ეთანხმება იმ მსჯელობა გადაწყვეტილობას, რასაც კრებაზე ქონდა ადგილი. ოქმის სწორედ შედგენას ამოწმებს თავმჯდომარე კრებისა და ორივეს სხვა აქციონერებსა, სურვილისამებრ, მხოლოდ რიცხვი მათი სამზე ნაკლები არ უნდა იყოს. გამგეობის მიერ შემოწმებული პირი საზოგადო კრების ოქმისა, ცალკე აზრისა და საზოგადოდ ყოველი მისი დამატებისა უნდა მიეცეს თითოეულ აქციონერს, თუ ეს მან მოისურვა.

განცხადებანი

ტფილისის ეპარქიის სამოციქოლო სასამართლოში ვასილ იოსების ძე ვაჩაძემ შემოიტანა განცხადებაზედ, რომ მისი ცოლი ანნა იოსების ასული ვაჩაძისა, რომელიც დაქორწინდა 1915 წლიდან, ყველა ვინც იცის ანნა იოსების ასული ვაჩაძის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამოციქოლო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 4368 3—2

ბრწყინვალე გაცემული ალექსანდრე სოლომონის ძე ხერხეულიძის სახელზედ შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მაქაშვილისაგან რეესტრის № 13486 გაუქმებულია. 4414 3—2

დაიკარგა პატარძლობის მოწმობა მიღებული ტფ. ქ-ლ. მილიციის სამმართველოდან, მაშინ ვინც ქალს ეკუთვნის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4354 3—3

დაიკარგა მოწმობა № 2063 კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეგრელიძის სახელზე მიღებული ტფ. პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4356 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვასილ ზოსიმეს ძე ტობუაძის [illegible] სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო ოლქისგან უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4374 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1021—2985 სიხა ბარამ ს ძე ლეონის სახელზე, მიღებული პოლონეთის მისიიდან ქ. ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4375 3—2

დაიკარგა ყაზბეგის ქ. № 25 მდებარე სახლის დავთარი, რომელიც ეკუთვნის მამუ ლაშვილს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4377 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევაზე უბანზე მიწერილობის მოწმობა № 54-ბარამ მიკრ ტიჩის ძე კოპალიანის სახელზე, მიღებული 8 კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4364 3—2

დაიკარგა სოოჯახო პასპორტი № 1920 მიღებული ტფილისის მაზრის სამმართველოდან 1908 წ. 28 ივნისს. ალექსანდრე ივანეს ძე კრავოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4383 3—2

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 147. მიღებული ქ. ერევანში გრიგორ ლუსავორი. ჩის ეკლესიიდან ვასნ ბაჩატურის ძე აგოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4384 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, დამოწმებული მე-3-ე უბნის კომისის მიერ, სხვა და სხვა ანგარიშები, დოკუმენტები და ფოტუ რები რუბენ მნაცაკანის ძე ხუნუნცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4380 3—2

დაიკარგა პასპორტი მ.ცაკაძლობაბოვის ძე მირტარჯანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციელტერის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 4372 3—2

დაიკარგა სამხედრო ალიცხვაზე მიღების მოწმობა, მიღებული მე-8-ე კომისარიატიდან და ხელზე გატარების ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან სამირზ ნ ხ.ი დუღის ძე ლაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4330 3—3

დაიკარგა დროებითი მოწმობა ევდოკია ივანეს ასული ლ-ბინოს სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4369 3—2

დაიკარგა უცხო პასპორტი № 8932 ანდრია ათანასეს ძე ულიანოვის სახელზე, მიღებული ქ. ტფილისში 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4370 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 565 არშაკ ალექსანდრეს ძე ასრიანის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო ალრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4378 3—2

დაიკარგა პასპორტი ელენე ნიკოლოზის ასული ფენ-დრიკოვის სახელზე, მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4982 3—2

დაიკარგა პასპორტი გასინ კერბეზაი სო უნგული ოღლის ირაზეევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4324 3—3

დაიკარგა მოწმობა № 15921 მილებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან 16/VIII. 1920 წ. ივანე დიმიტრის ძე დვილოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4308. 3—3

დაიკარგა სოოჯახო პასპორტი № 1038 ნიკოლოზ ბესარიონის ძე წეროძის სახელზე, მიღებული ამალიების თემიდან (გურია) გაუქმებულად ჩაითვალოს. 4328 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზვარეთის თემიდან და წუხსა, მიღებული ონის სახლდეგაზიწრეცხვის უფროსისაგან სოლომონ რეჩაითვალოს. ზარაძის სახელზე, გაუქმებულად 4345 3—2

დაიკარგა ატესტატი გიმნასიალური სემინარიიდან 1920 ხანის სანინში დროთე ნიკოს ძე კიტიას წლის ივგაუქმებულად ჩაითვალოს. 4346 3—2

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მ ღებული მ ტრიკული მიხელ დ მიტრის ძე ინჟინროყვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4359 3—2

დაიკარგა რევოლვერის № 46892 ტარების ნებართვა № 2014 ილია მ ხეილის ძე ჩეჩელაშვილის სახელზე, მიღებული შინ. საქ. სამინისტროდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4337 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1737. მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან მიხელ ხაიმ დავითის ძე ამაჯანოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4300 3—3

დაიკარგა ისიდოროვის შესახვევში № 3 მდებარე სახლის დავთარი, რომელიც ეკუთვნის ხაზინაშეიღს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4311 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული მაგიით მოქ ლქეთა სამმართველოდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფილისის სამხედრო ალრიცხვის უფროსისაგან. ნიკოლოზ სულხანის ძე სულხანიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4331 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზვარეთის თემიდან და სამხედრო ბეგრისგან თავისუფლების მოწმობა, მიღებული იქნა (რაჭა) სამხედრო ალრიცხვის უფროსისაგან ლევანტი ივანეს ძე გოზაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4335 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 106, მიღებული ქუთ. მაზრის სამხედრო ალრიცხვის უფროსისაგან და შოფერობის ატესტატი № 9 ვალერიან სპირიდონის ძე დაშნაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4342 3—2

დაიკარგა სოციალური დაზღვევის წიგნაკი № 392 ანა ოთარის ასული ქასრაშვილის სახელზე, მიღებული შინაგან სამინისტროდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4343 3—2

დაიკარგა მოწმობა ღვინის საწარმოს შესახებ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მარჭვნის სახელზე, მიღებული საქართველო სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4347—3—2

დაიკარგა სოოჯახო პასპორტი № 1721: მიცემული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. ზისკ ნტ უშრის ძე ტარაცის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4352 3—2

დაიკარგა სოოჯახო პასპორტი არშაკ გრიგოლის ძე იზმირიანის სახელზე, მიღებული საქართველოს წარმომადგენელისაგან ქ. პიტიგორსკში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4334 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან ნინო ალექსანდრეს ასული მურადოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4351 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან, სახელზედ ნუხა, მიღებული ქუთ. სამხედრო ალრიცხვის უფროსისაგან—იზრაილ ამეშისძე თოფჩაშიელის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4411 3—1

დაიკარგა პასპორტი ლაზარე მოსეს ძე ტერ გრიგორიანცის სახელზე, მიღებული სოფ. ბეთის წარმომადგენელისაგან ქ. ოდესაში 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4417 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ბოქოულის საზოგადოებიდან (რაჭა), მესამე კლასის მოწმობა, მიღებული პრეზალის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლიდან და მეტრიკა—შალვა ლავრენტის ძე წერეთლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1418 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი კახეთის ქ. №1 მდებარე სახლის, რომლშიც მოთავსებულია სახალხო უნივერსიტეტი. გაუქმებულად ჩაითვალოს 4419 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ოკონის გზის ლანდაგის გაღმა მდებარე სახლის და სოფ. პასპორტი გეუტკმარაბანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4422 3—1

სამხედრო სასამართლოს თანაზომით 1920 წ. 17 ნოემბრის გამწყრისრებელ სხდომის დადგინებისა ეძებს ყოფილ წე 2 ქვეითა რაზმის ჯარისკაცს მცხოვრებ ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის, სოფ. ჯუმათის ვლადიმერ ივანის ძე ბერძენიშვილს 23 წლისას, რომელსაც დროებით სამხედრო სასამართლოს ქ. სოხუმში 1919 წ. 11 აპრილის სხდომის დადგინებით მისჯილი აქვს დატუმრება ექვსი კვირით პირობით და წყალზედ.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება ზემოხსენებული ბერძნიშვილი ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ეზოში № 32.

1013 3—1

დაიკარგა სოოჯახო პასპორტი სალბი პეტროსიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4423 3—1

დაიკარგა სოოჯახო პასპორტი სარქ ის შიბიკიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4524 3—1

დაიკარგა პასპორტი ავაკ გასპარის ძე გასპარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4425 3—1

დაიკარგა პასპორტი სედრაკ გასპარის ძე გასპარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4425 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების ს წერხა კ ლისტრატე ბიკ ას ძე ბოსკოვაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—1

დაიკარგა მოწმობა ბაქარია კვეზერელი—კოპაძის სახელზე, მიღებული მ-ე-ე გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4432 3—1

ორწოფნება გაცემული ალექსანდრე სოლომონის ძე ბებუთაშვილ მიერ კონსტანტინე იარემას ძე ბერხეულიძის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მაქ ვარანთან 1920 წ. დეკემბრის 20 ს რეესტრით № 13486 გაუქმებულია. 4409 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1253, ვლადიმერ ულეიზერის ძე კესელის სახელზე, მიღებული ბათომის მილიციის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4426 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, № 943, ვასილ ფირანის ძე ოთხმუზარის ხან ლზე, მიღებული სახ. უნივერსიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4428 3—1

დაკარგა მოწმობა ნიკიტა ალექსანდრეს ძე ისაკიანის სახ ლზე, მიღებული ტფ. მილიციის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4429 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 539, მიღებული ტფილ ქალაქის გამგეობის სამხედრო ალრიცხვის განყოფილებისაგან არშაკ ალექსანდრეა ძე ასილოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4434 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული წეის საზოგადოებიდან (რაჭა), ჭილაშის მოწმობა და საქართველოს რესპუბლიკის დაჭრილ რასანაჩრებულთა კავშირის წევრობის წიგნაკი სურათით ლავრენტი იაკოფის ძე ისაკაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4433 3—1

დაიკარგა პასპორტი 699 ბენიამინ ფრანგულის ძე ბ.ღდ სარიფის სახელზე, მიღებული სომხეთის ეროვნულ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4434 3—1

აუქციონი

კვირას 8. | წ. დეკემბრის 26 დღის 12 საათზე

ტფილისის სახელმწ იფო საქარხნო თავლაში (ელისაბედის ქ. №198) აუქციონ ით გაიყიდება ორი სახაზინო ცხენი 4379 2—2

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ალე. გრიგოლ მაჭავარიანი.